თამაზ ბაქრაძე, ანა ანანიაშვილი

მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკის განვითარების საქმეში

თამაზ ბაქრაძე
სტუ-ს სრული პროფესორი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიკოსი
ანა ანანიაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

საქართველოს ეკონომიკის განვითარების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბიზნესის და, პირველ რიგში, საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარების დაჩქარებას. დღემდე, ფაქტობრივად, არა პროსამეწარმეო, არამედ უპირატესად პროიმპორტული პოლიტიკის გატარებისა და ქვეყნის დოვლათის უთანაბრო, არაადექვატური განაწილების შედეგად მივიღეთ მოსახლეობის მკვეთრი ქონებრივი პოლარიზაცია და საშუალო ფენის ხვედრითი წონის უკიდურესი შემცირება. ქვეყნის ეკონომიკაზე უარყობითად იმოქმედა 2008 წლის აგვისტოს ომმა რუსეთთან. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებლად მიგვაჩნია ღრმად გაანალიზდეს არსებული ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში და შემუშავდეს ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და მისი წამყვანი დარგების განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პერსპექტიული გეგმები პრიორიტეტული მიმართულებების გამოყოფით, მათ შირის სამეწარმეო ბიზნესისა და უპირველეს ყოვლისა, საშუალო, მცირე და მიკრო ბიზნესის განვითარებისათვის უპირატესობის მინიჭებით.

სამეურნეო საქმიანობის შინაარსისა და წარმოების მასშტაბებიდან გამომდინარე, მცირე ბიზნესი არის განსაზღვრულ ეკონომიკურ პარამეტრებში მოქცეული, დამოუკიდებელი რისკითა და უნარით გაწეული საქმიანი ურთიერთობა, რომელიც კომერციულ პრინციპებზე დაყრდნობით ხორციელდება და მიზნად ისახავს მოგების მიღებას. საერთაშორისო სამეწარმეო გამოცდილების დათვალისწინებით, მცირე ბიზნესი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, რაც განპირობებულია მისი მთელი რიგი ისეთი დადებითი თვისებებითა და განმასხვავებელი ნიშნებით, როგორებიცაა: მცირე კაპიტალური დაბანდებების საჭიროება, შექმნისა და ექსპლუატაციაში გაშვების მოკლე ვადები, მანევრულობის მაღალი ხარისხი, გამოუყენებელი შრომითი და ფინანსური რესურსების მობილიზაცია და ბრუნვაში მოქცევა, ახალი სამუშაო ადგილების სწრაფი შექმნა და უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტისათვის ხელშეწყობა, მოსახლეობის მრავალფეროვანი მოთხოვნილებების სწრაფი დაკმაყოფილება, სოციალური დაძაბულობის შერბილება, საშუალო ფენის გაფართოების ხელშეწყობა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და სხვა. მცირე ბიზნესი, რომელსაც საზღვარგარეთ ხშირად მცირე ეკონომიკასაც უწოდებენ, წარმოადგენს ძირითადად ართპიროვნული და პარტნიორული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის წვრილ და მცირე მასშტაბის საწარმოთა ერთობლიობას.

სამწუხაროდ, მიუხედავად საშუალო და მცირე ბიზნესის დიდი მნიშვნელობისა, საქართველოს სინამდვილეში იგი დღემდე მოკლებულია სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას და, ფაქტობრივად, ვითარდება სტიქიურად და ქაოტურად. უკანასკნელ პერიოდში (1995 წლიდან) გაუქმდა ის შეღავათები, რომლებიც არსებობდა დამწყები და მცირე ბიზნესისათვის, აგრეთვე ერთობლივი საწარმოებისათვის. შედეგად ჩამოყალიბდა საშუალო და მცირე ბიზნესის არასრულყოფილი და ცალმხრივი, კერძოდ, მხოლოდ წვრილი ვაჭრობის, საზოდადოებრივი კვების და ტრანსპორტის განვითარება, ხოლო მატერიალური დოვლათის შემქმნელი და განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ინოვაციური მიმართულების მცირე და საშუალო ბიზნესი კი აღმოჩნდა გაყინულ მდგომარეობაში. შემცირდა ერთობლივი მეწარმეობის ზრდის ტემპებიც.

XX საუკუნის პირველ ნახევარში მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში სწრაფი განვითარება დაიწყო მცირე ბიზნესის საბაზრო-სამეურ-

ნეო მექანიზმმა, ჩამოყალიბდა ანტიმონოპოლიური საკანონმდებლო ბაზა, რამაც დაიცვა და გააძლიერა კონკურენცია, შემუშავდა და ამოქმედდა სახალხო მეურნეობის სახელმწიფო რეგულირების სისტემა. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მცირე და საშუალო ბიზნესის სწრაფ განვითარებას, ფაქტობრივად, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. გასული საუკუნის 90-იან წლებში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით მცირე და საშუალო ბიზნესის ხვედრითმა წონამ მსოფლიოში 75-80 პროცენტს მიაღწია. მართალია, მცირე ბიზნესში მაღალია საწარმოთა გაკოტრებისა და დახუტვის პროცენტი, მაგრამ, როგორც წესი, მათ ადგილას სწრაფად იხსნებიან ახალი საწარმოები და ამიტომ, ფაქტობრივად, უმუშევრობის დონე ქვეყნებში არა თუ იზრდება, არამედ უმეტეს შემთხვევებში მცირდება კიდეც.

ბიზნესის მასშტაბებიდან გამომდინარე იგი იყოფა მსხვილ, საშუალო, მცირე და მიკრო ბიზნესად. დღეისათვის მსოფლიო პრაქტიკაში საწარმოთა ზომის დასადგენად და მათი მცირე, საშუალო თუ დიდ ბიზნესში გაერთიანებისთვის ხშირად გამოიყენება საწარმოში დასაქმებულთა რაოდენიბა (იხილეთ ცხრილი 1.)

საქართველოში სერიოზული კვლევები მცირე მეწარმეობის თეორიულ- მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ საკითხებზე, ფაქტობრივად, არ განხორციელებულა, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ მონოგრაფიულ ნაშრომებს ბიზნესზე (პროფესორები: დ. ძნელაზე, ნ. ბიჭიაშვილი, გ. რუსიაშვილი და სხვა). თითქმის შეუსწავლელი და გამოუკვლეველია მცირე ბიზნესის განვითარების კოორდინაციის, ფინანსური უზრუნველყოფის, საგარეო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე მისი გავლენისა და სხვა საკითხები. ჩატარებულმა გამოკვლევებმა და საექსპერტო შეფასებების მეთოდის გამოყენებამ ჩვენ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საწარმოთა მსხვილ, საშუალო, მცირე და მიკრო კატეგორიებისადმი მიკუთვნების დღეს მოქმედი წესი არასრულყოფილია, რადგანაც მასში ნაკლებადაა გათვალისწინებული დიფერენციაცია დარგების მიხედვით და ამდენად, მხედველობაში არ არის მიღებული მათი სპეციფიკა.

ჩვენ ვასაბუთებთ, რომ საწარმოთა კონცენტრაციის დონის მაჩვენებლები არ შეიძლება ერთნაირი სიდიდისა იყოს სხვადასხვა დარგების მიხედვით მათი მკვეთრად განსხვავებული თავისებურებების გამო. დღეისათვის მსოფლიო პრაქტიკაში საწარმოთა ზომის დასადგენად და მათი მცირე, საშუალო თუ დიდ ბიზნესში გაერთიანებისათვის გამოიყენება საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა, ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება ან წლიური მთლიანი პროდუქციის მოცულობა, რაც არ მიგვაჩნია მართებულად. თანამედროვე წარმოების მექანიზმის, ავტომატიზაციისა და , მითუმეტეს, რობოტიზაციის მაღალი დონის პირობებში საწარმოთა მასშტაბებზე მსჯელობა მომუშავე პერსონალის რაოდენობის მიხედვით არ იქნება სწორი. ფირმის ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება აგრეთვე არ გამოდგება, რადგანაც იგი შეიძლება საკმაოდ დიდი ამპლიტუდით იცვლებოდეს ძირითადი ფონდების სტრუქტურის ცვლილებასთან ერთად. რაც შეეხება საწარმოს მთლიანი პროდუქციის მაჩვენებელს, მის სიდიდეზე პირდაპირ მოქმედებს გამოყენებული ნედლეულისა და მასალების ღირებულება, საბაზრო ფასების ცვალებადობა, ინფლაცია და სხვა. საწარმოს ზომა არ უნდა იყოს დამოკიდებული მთლიანი პროდუქციის ფასების ცვალებადობაზე ანუ მის გაძვირებასა თუ გაიაფებაზე. ამიტომ ამ მაჩვენებელსაც არ ძალუძს სწორად გამოსახოს საწარმოთა რეალური მასშტაბები. საწარმოთა მასშტაბების განმსაზღვრენ ყველაზე უფრო სრულყოფილ კრიტერიუმად მიგვაჩნია მათი საწარმოო სიმძლავრეების მაჩვენებლები, რომლებიც გაანგარიშებულნი არიან მოცემულ საწარმოებში გამომუშავებული წმინდა პროდუქციის (Net Output) ანუ ახლად შექმნილი ღირე-

ცხრილი 1.

საწარმოთა მოცულობის მიხედვით დაჯგუფების კლასიფიკაცია ევროკავშირში მიღებული მეთოდიკის მიხედვით

	საწარმოთა ჯგუფები სიდიდის მიხედვით	დასაქმებული პერსონალის რაოდენობა
1	მიკრო საწარმოები	10 კაცამდე
2	მცირე საწარმოები	10-დან 100 კაცამდე
3	საშუალო საწარმოები	100- დან 500 კაცამდე
4	მსხვილი საწარმოები	500-ზე მეტი კაცი

ბულების მიხედვით. შესაძლებლად მიგვაჩნია აგრეთვე, რათა საწარმოს მასშტაბის სიდიდე გაანგარიშებულ იქნეს ნატურალურ მაჩვენებლებში გამოსახული პროდუქციის მოცულობით, ოღონდაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვექნება ერთგვაროვანი პროდუქციის გამოშვებასთან ჩაკეტილი საწარმოო ციკლის პირობებში. ამ შემთხვევებში გამორიცხული იქნება კოოპერირების ხარისხის დონის, ნედლეულზე, მასალებზე და თვით პროდუქციაზე ფასების ცვლილების, ინფლაციის ხარისხის და სხვა ფაქტორების ცვლილებების დამამახინჯებელი გავლენა საწარმოს მასშტაბის სიდიდეზე. ამასთან ერთად, საწარმოთა მასშტაბების სიდიდეზე. ამასთან ერთად, საწარმოთა მასშტაბების აღმნიშვნელ მაჩვენებელთა სიდიდეები დიფერენცირებულნი უნდა იქნენ როგორც ცალკეული დარგების, ისე საწარმოთა ტექნიკურ-ეკონომიკური თავისებურებების გათვალისწინებით.

მართალია, მსოფლიოს დღევანდელი ეკონომიკური გლობალიზაციის ვითარებაში მკვეთრად გაიზარდა მსხვილმასშტაბიანი ტრანსნაციონალური და მულტინაციონალური კომპანიების როლი და მნიშვნელობა, მაგრამ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისა და სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის პირობებში მცირე ბიზნესს ყოველთვის ექნება და აქვს კიდეც თავისი მყარი ადგილი ნებისმიერი ქვეყნის ეკონიმიკაში. მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტები დიდი ხანია მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მცირე ბიზნესი არ შეიძლება განიხილებოდეს როგორ ძველის გადმონაშთი და მეურნეობის დროებითი ხასიათის დაბალეფექტიანი ფორმა, რომ მცირე ბიზნესი ქვეყნის ეკონიმიკის არამონოპოლიზირებული, უმნიშვნელოვანესი სექტორია, რომელზეც დიდადაა დამოკიდებული მოსახლეობის ცხოვრების დონე და კეთილდღეობა. მცირე საწარმოს გარეშე შეუძლებელი იქნებიდა ქვეყნის ეკონომიკის დაბალანსება და ბაზრის უზრუნველყოფა მრავალგვარი სხვადასხვა სახის საქონლითა და მომსახურებით. მიუხედავად იმისა, რომ „მცირე საწარმო" ნიშნავს დაბალი კონცენტრაციისა და პატარა მასშტაბების საწარმოს, მას ხშირად, წარმოების სწორი ორგანიზაციისა და მართვის შემთხვევაში, უკეთესი ეკონომიკური მაჩვენებელი გააჩნია მსხვილ საწარმოებთან შედარებით.

მცირე ბიზნესის უპირატესობა განსაკუთრებით ვლინდება რესურსებით ღარიბ ქვეყნებში. აქ მსხვილი მასშტაბის საწარმოების შექმნა ეკონომიკურად მიზანშეწონილი არ არის, რადგანაც რესურსების მოზიდვა სხვა რეგიონებიდან ზრდის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს და აძვირებს პროდუქციას. მაშინ, როდესაც მცირე ბიზნესი უზრუნველყოფს ადგილობრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

მცირე ბიზნესის ერთ-ერთი უპირატესობა მსხვილ ბიზნესთან შედარებით მდგომარეობს მის ტექნოლოგიურ მოქნილობასა და სწრაფი რეაგირების უნარში ბაზრის კონიუქტურის ცვლილების მიმართ. მცირე საწარმოებს შეუძლიათ სწრაფად განახორციელონ ტექნიკურ-ტექნოლოგიური ცვლილებები და გამოსაშვები პროდუქციის სტრუქტურის შეცვლა ან სულაც სხვა საწარმოო პროფილზე გადასვლა. მაშინ, როდესაც მსხვილ საწარმოებს ამის გაკეთება ძალიან უჭირთ ტექნიკური სიძნელეებისა და დიდი დანახარჯების გაწევის აუცილებლობის გამო. ამასთან ერთად, მცირე საწარმოებს მსხვილ საწარმოებთან შედარებით გაცილებით უფრო უადვილდებათ ადგილობრივ ბაზარზე საკუთარი სეგმენტის გამოძებნა, შესვლა და დამკვიდრება. მცირე საწარმოები იოლად ამყარებან პირდაპირ კონტაქტებს მომხმარებლებთან, ითვალისწინებენ მათ მოთხოვნებს, წარმატებით ეწევიან მარკეტინგულ საქმიანობას და შედარებით ადვილად ახერხებენ საკუთარი პროდუქციის (მომსახურების) რეალიზაციას. მცირე საწარმოები მოკლე დროში და შედარებით მცირე დანახარჯებით ახორციელებენ ტექნიკურ-ტექნოლოგიური სიახლეებისა და ნოუჰაუების დანერგვას, რაც მათ აძლევს საშუალებას შედარებით ადვილად გაუძლონ კონკურენციულ ბრძოლას. მცირე ბიზნესში ფართოდ გამოიყენება ისეთი პროგრესული ფორმები და მეთოდები, როგორებიცაა პროფესიათა შეთავსება, მრავალდაზგოსნობა, მცოცავი გრაფიკით მუშაობა, შრომის ბრიგადული ორგანიზაცია, საზოგადოებრივ და საოჯახო მეურნეობაში შრომითი დასაქმების შეთავსება, ქალთა და პენსიონერთა სამუშაო ძალთა გამოყენება და სხვა.

ბოლო 20 წლის მანძილზე მსოფლიო სამეურნეო პრაქტიკაში ადგილი აქვს მცირე და განსაკუთრების მიკრო ბიზნესის განვითარებისა და გავრცელების მასობრივი პროცესის დაჩქარებულ მიმდინარეობას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მომსახურების და, კერძოდ, ინფორმაციული მომსახურების სფერო, რომელზეც დიდი გავლენა იქონია კომპიუტერიზაციისა და კომუნიკაციური ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ. ფართო მასშტაბის მასობრივი მოხმარების ინფორმაციული პროდუქცია ძირითადად იქმნება და რეალიზდება მიკ-

როსაწარმოებში, რომელთა უმრავლესობაშიც დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა 5-10 კაცს შეადგენს. დღეისათვის ამ ბიზნესს უდიდესი საერთაშორისო ბაზრები გააჩნიათ და დიდად უწყობენ ხელს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. მრავალი სპეციალისტის აზრით, XXI საუკუნის დასაწყისში ახალი სამუშაო ადგილებისა და დასაქმების მნიშვნელოვან წყაროდ მოგვევლინება ტელეხედვის, მულტიმედიის და კინოპროდუქციის მწარმოებელი ფირმები, რომელთა უდიდესი ნაწილი იფუნქციონირებს მიკრო საწარმოების სახით. ამ პროგნოზის მართებულობას ადასტურებს უკანასკნელ წლებში მომრავლებული დამოუკიდებელი ტელეარხები, ჟურნალ-გაზეთები, ინტერნეტ-კაფეები, კომპიუტერული მომსახურების ფირმები, სარეკლამო სააგენტოები, საგამომცემლო ფირმები და სხვა მიკრო საწარმოები.

აცნობიერებენ რა მცირე და საშუალო ბიზნესის დიდ მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის საქმეში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და. განსაკუთრებით, განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მათ მძლავრი მხარდაჭერა აქვთ სახელმწიფოს მხრიდან. ამ მხრივ აღსანიშნავია, იაპონიის მთავრობის მიერ გატარებული მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ეკონომიკური პოლოტიკა, რომლის მიხედვითაც ყოველწლიურად ხდებოდა მნიშვნელოვანი თანხების გამოყოფა ბიზნესის ამ სფეროს წასახალისებლად და დასახმარებლად. მცირე მეწარმეობის დაფინანსებისათვის გათვალისწინებულია საბიუჯეტო სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილის გამოყოფა სახელმწოფო ინვესტიციების პროგრამებისა და სესხების ანგარიშებიდან. იაპონიაში კარგად არის დამუშავებული და აქტიურად ფუნქციონირებს მცირე მეწარმეობის დაზღვევის მექანიზი. ამასთან ერთად, გამარტივებულია მცირე საწარმოების მიერ კრედიტების აღების წესები. გარდა ამისა, ამ ქვეყნის მცირე საწარმოები სარგებლობენ მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათებით. მაგალითად, მცირე ბიზნესისათვის იაპონიაში დადგენილია ერთი მესამედით შემცირებული საკორპორაციო გადასახადის განაკვეთი. კერძოდ, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, რომელთა წლიური მოგების თანხა 8 მილიონ იენზე ნაკლებია, საკორპორაციო გადასახადს იხდიან 30 პროცენტიანი საგადასახადო განაკვეთით. მაშინ, როდესაც დანარჩენი საშუალო და მსხვილი საწარმოებისათვის, რომელთა წლიური მოგების თანხა მეტია 8 მილიონ იენზე, იგივე საგადასახადო განაკვეთი გაცილებით მეტია და იწყება 42 პროცენტიანი დონიდან. იაპონელი წვრილი მეწარმეები სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებითაც. მაგალითად, გადასახადებისგან თავისუფლდება სარეზერვო ფონდის შესაქმნელად მომართული მოგების თანხები, მოწინავე მოწყობილობის შეძენისათვის ეძლევათ გარკვეული შეღავათები, შემოღებულია დაჩქარებული ამორტიზაციის პირობები, რაც საშუალებას აძლევს მცირე მეწარმეებს თავიანთი მოგების მეტი ნაწილი დატოვონ საწარმოს განკარგვაში სახელმწიფო დაბეგვრის გარეშე და სხვა. მცირე და საშუალო ბიზნესს გააჩნია მნიშვნელოვანი შეღავათები ადგილობრივი გადასახადების მიხედვითაც. სწორედ ასეთმა ქმედითმა სახელმწიფო მხარდაჭერამ განაპირობა ის, რომ დღეისათვის მცირე და საშუალო ბიზნესი იაპონიასი მარალ დონეზეა განვითარებული. დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობაა მსოფლიოს სხვა განვითარებულ ქვეყნებშიც. მათ უმრავლესობაში შექმნილია მცირე ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სახელმწიფო ორგანოები, რომელთა ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყონ მცირე და საშუალო ბიზნესის მეცნიერულად დასაბუთებულ საფუძველზე განცვითარებას ქვეყანაში და უზრუნველყონ პროცესის სწორად და მიზანმიმართულად წარმართვა.

სამეწარმეო ბიზნესისა და განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის უკეთ და სწრაფი ტემპებით განვითარებისათვის მიზანშეწონილია, რომ ქვეყანაში განხორციელდეს მართვის დეცენტრალიზაცია, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ სულ უფრო მეტი უფლებამოვალეობების დელეგირება უნდა მოახდინოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიმართ, უფრო მეტად ითანამშრომლოს მეწარმეთა ასოციაციებთან, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. ეს კი უზრუნველყოფდა საზოგადოების კონსოლიდაციას, შემოქმედებითი ძალების გააქტიურებასა და კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერებას.

SMALL BUSINESS AND IT`S IMPORTANCE FOR DEVELOPMENT OF GEORGIAN ECONOMY

TAMAZ BAKRADZE
Professor of GTU
ANA ANANIASHVILI
Doctoral Candidate of GTU

Speeding of development of business and, especially, middle and small business, is very important for revival and development of the whole Georgian national economy. It is high time, that Georgian government must begin to conduct production promote policy, instead of import assist policy, and to secure fair distribution of wealth, which is produced in the country. Unfortunately, as a result of wrong economical policy, today the level of improvement of industrial production, agriculture and other branchs of national economy of Georgia is the lowest, property-polarization of Georgian population reachs the highest sizes, negative influence of 2008 year`s August war with Russia on the economy of the country was catastrophic, volume of production decreases, unemployment increases, standard of living falls and so on.

Above-mentioned unacceptable economical situation of Georgia sharply demands, that on the base of deep economical analysis to work out long-term perspective plan of development of national economy and it's branchs and to distinguish it`s main priority directions.

In this scientific article is discribed the advantages and distingvished features of middle and small business in Georgia, usefull experience of foreign countries in this sphere and is given various saggestions and recommendations for development of Georgian economy and especially of it`s middle and small business.

After investigation of theoretical questions of business author considers, that number of personal, gross output and volum of fix capital are not able to characterize the real size of production. In the epoch of automation and robotization quantity of personal does not show the scale of enterprises. The value of gross output is depended on many factors and particularly on the prices of row materials, level of inflation, price policy of enterprises, specific consumption of materials, labour content and so on. So, this index also can not express the real size of the enterprises. We think, that volum of fix capital doesnot show the real size of the productiom, because of it`s dependence on structure of fix capital.

For definition of the real size of enterprises we offer to use volum of production power, wich will be calculated by the index of net output, that is, by the cost, which may by created in these enterprises. In that case, all changes of prices, level of inflation, price policy of enterprises, specific consumption of materials, labour content and other factors will not influense on the index of enterprise`s scale.